



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N29

2015 წლის 3 აპრილი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელფასო ანაზღაურების გარეშე მყოფი წევრებისათვის სააღდგომოდ დახმარების გაცემის შესახებ

საკრებულო აღნიშნავს, რომ საკრებულოს 17 წევრი, რომლებიც არ წარმოადგენენ თვითმმართველობის თანამდებობის პირებს და არ ღებულობენ ხელფასს, სადეპუტატო უფლებამოსილებას პრაქტიკულად ენთუზიაზმით ახორციელებენ.

გამომდინარე აღნიშნულიდან, საკრებულო მიიჩნევს, რომ მათი, როგორც დეპუტატის, საქმიანობის წახალისების მიზნით, თითოეულ მათგანზე, სააღდგომოდ, გაიცეს 500 (ხუთასი) ლარი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მეორე პუნქტების და ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1.დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17 (ჩვიდმეტი) წევრზე, რომლებიც არ წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებს და როგორც დეპუტატები არ ღებულობენ ხელფასს, გაიცეს თითოეულზე 500 (ხუთასი) ლარი დანართი №1-ის მიხედვით.

2.დახმარების გაცემა მოხდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით, ამ მიზნით გათვალისწინებული თანხიდან.

3.დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ (გამგებელი ვაჟა ჩოხელი) უზრუნველყოს ამ განკარგულების სისრულეში მოყვანა.

4.ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი

საკრებულოს სახელფასო ანაზღაურების გარეშე მყოფი წევრების სია, რომლებზეც უნდა გაიცეს დახმარება საკრებულოს 2015 წლის 3 აპრილის N29 განკარგულების საფუძველზე

1. აფციაური მამუკა
2. არაბული ზურაბი
3. ახალაშვილი ირაკლი
4. ბურდული დავითი
5. დაიაური გელა
6. ზვიადაური გარსევანი
7. თეთრუაშვილი ივანე
8. ისაშვილი ჯუმბერი
9. კარიაული ზაზა
10. კობიაშვილი გიორგი
11. პეტრიაშვილი როინი
12. ყარმაზანაშვილი გოგიტა
13. ყაჭიური ზურაბი
14. ქოჩაშვილი ნანული
15. შერმადინი ლევანი
16. ჩხუტიაშვილი ტარიელი
17. ჭინჭარაული იოსები

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი